

AGREEMENT № 84 ABOUT STATE PROCUREMENT  
SIMPLIFIED PROCUREMENT

(in accordance with the sub-paragraph 'D' of the 3<sup>rd</sup> paragraph of the Article 10<sup>1</sup> of the Law of Georgia about 'State Procurement' Order of the Government of Georgia 18 January 2016 #69) (SMP150001305)

„2“September” 2016

LEPL – **Georgian National Tourism Administration** (address: #4 Sanapiro Str., Tbilisi, Tel.: 2 436999; bank details: A/N #GE24NB3033010020016502, State Treasury, code TRESGE22; I/C 204578206), represented by its Head **George Chogovadze**, hereinafter referred to as 'Purchaser' and **Sakura International Inc. (Address: ENDO Sakaisuji Bldg. 3F.4F, 7-3 Bingomachi, 1-Chome, Chuo-Ku, Osaka 541-0051 JAPAN, Bank: The Bank of Tokyo-Mitsubishi UFJ, Ltd., Tamade Branch, Bank address: 2-1-1, Tamade-nishi Nishinari-ku Osaka 557-0045, Japan, Account number: 1155831, SWIFT: BOTKJPJT)**, represented by its CEO **Ken Myohdai** hereinafter 'Supplier', both are referred to as 'Parties', acting in accordance with the Law of Georgia, including the Law of Georgia about 'State Procurement', conclude this agreement on the following:

1. Definitions of applied terms

The terms applied in the agreement have the following meanings:

- 1.1. "Agreement about State Procurement" (hereinafter – "Agreement") – an agreement between purchaser and supplier, which is signed by both parties, with all documents enclosed to it and documentation upon which there are indications in this agreement.
- 1.2. "Agreement value" – total sum, that should be paid by the Purchaser for full and thorough execution of imposed liabilities by the Supplier
- 1.3. "Day", "week", "month" – calendar day, week, month.
- 1.4. "Purchaser" – an organization, which undertakes procurement.
- 1.5. "Supplier" – an entity, who carries out the supply of service under this agreement.
- 1.6. "Service" - the subject of the agreement provided for in the Article 2 of this Agreement.

2. Subject of agreement

**Exhibition Booth construction services**

at the international exhibition , JATA 2016 ". to be held in Japan, Tokyo from 22 September to 25 September, 2016 (CPV 39154100)

3. Agreement value

3.1 The value of this agreement amounts to 37 700.00 (thirty-seven thousand seven hundred and 00) Euro.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 846  
გამარტივებული შესყიდვა

("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის განკარგულება # 69) (SMP150001305)

„2“ სექტემბერი 2016 წ.

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4; ტელეფონი: 2 436999; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE24NB3033010020016502 სახელმწიფო ხაზინა,, კოდი TRESGE22; ს/კ 204578206), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის გიორგი ჩოგოვაძის სახით და **Sakura International Inc. (Address: ENDO Sakaisuji Bldg. 3F.4F, 7-3 Bingomachi, 1-Chome, Chuo-Ku, Osaka 541-0051 JAPAN, Bank: The Bank of Tokyo-Mitsubishi UFJ, Ltd., Tamade Branch, Bank address: 2-1-1, Tamade-nishi Nishinari-ku Osaka 557-0045, Japan, Account number: 1155831, SWIFT: BOTKJPJT)**, წარმოდგენილი მისი დირექტორის კენ მიოდაის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

**საგამოფენო სტენდის აგების მომსახურება**

საერთაშორისო გამოფენაზე "JATA 2016", რომელიც გაიმართება იაპონიაში, ქ. ტოკიოში, 2016 წლის 22 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით. (CPV 39154100)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 37 700.00 (ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდასი ევრო და 00) ევრო.



3.2 The value of this agreement includes both service value and all expenses connected to execution of this agreement by „Supplier“.

3.3 Amendment of the terms of this agreement, including the agreement value, is unacceptable if such amendment increases the agreement value or agreement terms get worse for the Purchaser; except if there is the situation determined under 398th Article of the Civil Code of Georgia, and increase of agreement value in this case should not exceed 10% of the total agreement value.

3.4 Service deadline: **September 21, 2016**;

3.5 Service place: Japan, Tokyo.

#### 4. Liabilities of the parties

##### 4.1 Supplier is liable to:

- Provide the Purchaser with construction services of the booth;
- Discuss Purchaser's claims and provide it with motivated answers to all questions, as well as in case of defects discovered during the performance of the agreement terms, ensure rectification of such defects;
- The Supplier takes responsibility to fulfil any health, safety and construction regulations acting in the State of the stand construction and/or set by the venue owner/event organiser. The Supplier shall bear respective responsibility in case of breach of the aforementioned obligation.

d) Perform other duties imposed on it under this Agreement.

##### 4.2 Purchaser is liable to:

- Ensure control on provided service and its acceptance in case of positive assessment;
- Perform other duties imposed on it by this Agreement.

#### 5. Quality

The quality of the service to be supplied under this Agreement shall comply with the requirements of the Purchaser.

##### 6. Control over the Agreement fulfillment

6.1 Control of agreement execution by the Purchaser shall be carried out during the period of agreement validity, in accordance with the requirements of the Purchaser.

6.2 The inspection will be carried out by Ms. Nino Nizharadze, chief specialist of brand development division of National Tourism Administration of Georgia.

6.3 Purchaser's respective representative (representatives, invited experts) may conduct the quality control and if there appear any defects in supplied service, the Supplier is liable to correct the defects within the period specified in writing and if the Supplier fails to correct defect while the Purchaser has already paid for a supply of service, it shall reimburse the fee of the supplied service to the Purchaser.

6.4 If the term of defect correction, specified under paragraph 6.3 of

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4. მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა: **2016 წლის 21 სექტემბერი**;

3.5. მომსახურების გაწევის ადგილია: იაპონია, ტოკიო.

#### 4. მხარეთა ვალდებულებები

##### 4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს შემსყიდველი სტენდის აგების მომსახურებით;
- განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
- მიმწოდებელი ვალდებულია, დაიცვას სტენდის მშენებლობის ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა, ან/და მშენებლობის ადგილის მესაკუთრის ან/და ღონისძიების ორგანიზატორის მიერ დადგენილი შესაბამისი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისა ზომები და მშენებლობის წესები. ზემოხსენებული ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს მიმწოდებლის შესაბამისი პასუხისმგებლობის დადგომას.

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

##### 4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
- განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

#### 5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

##### 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრენდის განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ნინო ნიჟარაძე.

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზიანი მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით განსაზღვრულ ვადაში გამოასწოროს ხარვეზი ან თუ ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი

აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს



this Article, comes after the date of expiry of agreement validity, defect correction and reimbursement of the sum in case of inability to correct the defect, occurs until the contract expiration.

## 7. Rule of service delivery and acceptance

7.1. Service acceptance occurs in the form of an Act of Delivery and Acceptance. The Act of Delivery and Acceptance is drawn up in writing, with the signatures of authorized representatives of the parties and on the basis of positive conclusion of the person(s) performing inspection.

7.2. Service acceptance is carried out by Ms. Nino Nizharadze, chief specialist of brand development division of National Tourism Administration of Georgia.

## 8. Remuneration

8.1 Payment occurs with the following conditions:

- Payment currency – Euro.
- Form of payment –by transfer, in accordance with Supplier's bank details specified in this Agreement.

8.2 The Purchaser takes responsibility to make payment to the Supplier for supplied service within 10 (ten) days after signing the Act of Acceptance and submitting an invoice. If the last day of payment is non-working day, payment will occur on the next working day

## 9. Delay in completion of the agreement

9.1 If the parties, in the process of agreement fulfillment, face obstacles, under which implementation of the terms of Agreement may be delayed, they shall immediately send written notice to the other party informing of the delay, its possible duration and causes. Receiver of the notice shall notify the other Party as soon as possible with its decision in connection with the above mentioned circumstances.

9.2 If the parties, due to delay in fulfillment of the terms of the contract, agree on extension of the term of agreement execution, this decision shall be made through the agreement amendment, in accordance with Article 11 of this Agreement.

## 10. Non-fulfilment of the Agreement terms

10.1 In case of overdue the term of service delivery, determined under sub-paragraph „A“ of paragraph 4.1 of this Contract, the supplier shall bear the penalty - 0.01% of the contract price of the non-delivered service fee for each overdue day

10.2 In case of violation of conditions specified in 6.3 paragraph of this Agreement, the supplier shall bear the penalty 0.01% of the contract price of the non-delivered service fee for each overdue day.

10.3 If the total amount of penalty imposed on Supplier exceeds 10

აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გასწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გამოსწორება, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

## 7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრენდის განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ნინო ნიკარაძე.

## 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

- ანგარიშსწორების ვალუტა - ევრო;
- ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ინვოისის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ



(ten) percent of the Agreement value, the purchaser will reserve the right to terminate the agreement and require the supplier to pay the penalty due at the time of termination of the contract.

10.4 Penalty payment shall not relieve the supplier from fulfilment of its liabilities.

#### 11. Amendment of Agreement

11.1 Any amendments to this Agreement shall be signed by authorized representatives of both parties.

11.2 If for some unforeseeable reason arises the need to change terms of the contract, an initiator of such amendment shall send notification with the relevant information to the other party in writing.

#### 12. Dispute settlement

12.1 Any disputes between the parties that may rise during the implementation of the agreement shall be resolved through negotiations.

12.2 If the purchaser and supplier can not settle the disputable issues within 5 (five) days after starting such negotiations, any of the parties may apply to the court of Georgia in order to resolve the dispute pursuant to established procedure.

12.3. This agreement has been drawn up and is governed by Georgian Law and Jurisdiction.

#### 13. Agreement termination

13.1 Parties shall be entitled to terminate this Agreement if the other party fails to fulfill its obligations, or in any other cases set out under acting legislation.

13.2 Termination of separate terms and conditions of the agreement does not relieve the Supplier from performing its obligations taken under the contract.

13.3 The agreement may also be terminated under written agreement of the parties.

#### 14. Agreement validity

This Agreement shall enter into force from the date indicated at the beginning of the agreement and is valid through December 31, 2016.

#### 15. Force-majeure

15.1 Failure to comply with the terms of the agreement will not result any penalty sanctions for the contracting parties, if such non-fulfilment or delay is caused by force - major circumstances.

15.2 For the purposes of this article, "Force - major" means the circumstances insurmountable and under control of the parties, that are not related to the errors and negligence of purchaser and / or the

ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტებლოს ჯამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტებლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტებლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

#### 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

#### 12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და იურისდიქციით.

#### 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. მხარეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგინილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

#### 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### 15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

supplier, and which are unforeseeable. Such condition may be caused by war or natural disasters, epidemics, quarantine, embargoes on the supply of goods, a sharp reduction of budget allocations, and other.

15.3 The party who appears in force - major situation, must immediately notify the other party in writing about such circumstances and the possible date of its elimination; otherwise this party does not get free from the responsibility caused by total or partial failure in fulfilment of its liabilities.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს,

რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

### 16. Other conditions

16.1 Present contract takes precedence over any written and/or oral contract made between the parties prior to or after concluding present contract.

16.2 The contract is prepared in two legally identical copies, one in Georgian and one in English Languages; one copy given to the supplier, and one to the purchaser.

### 16. სხვა პირობები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე ან მის შემდეგ მხარეთა შორის წარმოებულ ნებისმიერ ზეპირ ან/და წერილობით შეთანხმებასთან მიმართებაში უპირატესი ძალა ენიჭება აღნიშნულ ხელშეკრულებას.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ - ინგლისურ ენებზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, მეორე - შემსყიდველს.

Supplier:

მიმწოდებელი:

კენ მიოდაი


Ken Myohdai



Sept 02, 2016

შემსყიდველი:

Procuring Organization



გიორგი ჩოგოვაძე

George Chogovadze





## ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ საგამოფენო სტენდის აგების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ 2016 წლის 02 სექტემბერს N<sup>846</sup> ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელი

ინსპექტორების და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი



გიორგი ჩოგოვაძე

ნინო ნიჟარაძე